სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ლიეტუვაში საქართველოს საელჩოში განახლდა ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი საკვირაო სკოლა

1 სექტემბერს, ქ. ვილნიუსში, საქართველოს საელჩოში განახლდა ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი საკვირაო სკოლა.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ლევან ღვაჩლიანმა საკვირაო სკოლის მოსწავლეებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელოები გადასცა და სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

ქართულ დიასპორაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს, საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერა წარმოადგენს.

საქართველოს ელჩი ლიეტუვაში კაუნასის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს შეხვდა

4 სექტემბერს, ქ. ვილნიუსში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან ღვაჩლიანმა გამართა შეხვედრა კაუნასის ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტის რექტორთან იუოზას აუგუტისთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რექტორის მოადგილე ინეტა დაბაშინსკიენე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი ილონა კაზლაუსკაიტე.

შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრში კაუნასის ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტში ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსების გახსნის თაობაზე.

ამასთან, კაუნასის ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტში არსებული შოთა რუსთაველის სახელობის აუდიტორიაში, საქართველოს ელჩი ამავე უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე ელჩმა სტუდენტებს მიულოცა სასწავლო წლის დაწყება, ესაუბრა მათ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, ლიეტუვა-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესახებ. ასევე, მიაწოდა ინფორმაცია საელჩოში სტაჟირების/სასწავლო პრაქტიკის გავლის და საკონსულო მომსახურებების შესახებ. ელჩმა სტუდენტებს ასევე მოუწოდა ფართოდ ჩაერთონ ლიეტუვაში საქართველოს წარმოჩენის საქმეში და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

შეხვედრა ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოებასთან თურქეთის რესპუბლიკაში

4 სექტემბერს, ქ. ანკარაში, საქართველოს საელჩოში, საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული, გელა ჯაფარიძე შეხვდა ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოების ხელმძღვანელს, ომერ ფარუქ დემირთაშსა და გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და დახმარების საზოგადოების ხელმძღვანელს, მურათ სევიმს.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს, ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

ბრიუსელში დოკუმენტური ფილმის „მე გადავცურე ენგური" ჩვენება გაიმართა

6 სექტემბერს, ქ. ბრიუსელში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინსიტროს პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" გამარჯვებულის ბელგიაში ნინო ახალშენიშვილის ინიციატივით, ანუნა ბუკიას დოკუმენტური ფილმის „მე გადავცურე ენგური" ჩვენება გაიმართა.

კინოჩვენებას, რომელიც ფილმის რეჟისორთან დისკუსიით დასრულდა, ქ. ბრიუსელში არსებულმა ასოციაცია "Espace, cultures & développement"-მა უმასპინძლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ, როგორც ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ასევე უცხოელი სტუმრები.

ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა პოლონეთის საფეხბურთო ჩემპიონატში

7-8 სექტემბერს, ქ. ვარშავაში, პარაფეხბურთელთა ჩემპიონატი ,,ევროპის თასი 2019"გაიმართა. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარაფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა.

საქართველოს გუნდის თამაშებს ესწრებოდნენ და უგულშემატკივრეს პოლონეთში მცხოვრებმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა.

ქართული კუთხე ავსტრიის ყოველწლიურ ფესტივალზე

7 სექტემბერს, ქ. სანქტ-პოლტენში, ფესტივალი - "Fest der Begegnung" გაიმართა. ფესტივალზე ავსტრიაში მცხოვრები თანამემამულის ნინო ძიძიგურისა და მისი ოჯახის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ქართული კუთხე მოეწყო.

საქართველოს ელჩმა ავსტრიაში, დავით დონდუამ საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად, აღნიშნული ქართული კუთხე მოინახულა და ქართველი მუსიკოსების მიერ გამართულ კონცერტს დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალი "Fest der Begegnung" ყოველწლიურად იმართება, სადაც ქართულ კუთხეს ტრადიციულად ნინო ძიძიგური და მისი ოჯახი წარმოადგენს.

ქ. ლოდის პირველი ქართული საკვირაო სკოლის სასწავლო წელი განახლებულ შენობაში დაიწყო

7 სექტემბერს, ისრაელში, ქ. ლოდის პირველ ქართულ საკვირაო სკოლაში „მამული", ახალი სასწავლო წელი განახლებულ შენობაში დაიწყო. სარემონტო სამუშაოები სამშენებლო კომპანია „არქი ჯგუფის" მხარდაჭერით, სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიის ფარგლებში განხორციელდა.

ქართული საკვირაო სკოლა „მამული" (დირექტორი: არჩილ ხუციშვილი), 2018 სასწავლო წლიდან, დიასპორული ორგანიზაციის - „მამული" /_ מאמוליბაზაზე მოქმედებს და იგი ქ. ლოდში, საქართველოს საპატრიარქოს კუთვნილ „ქართულ სახლშია" განთავსებული. სკოლაში, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა და ქართველ ებრაელთა თემის ბავშვები ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, კულტურასა და მუსიკას სწავლობენ. სკოლაში, ასევე, გახსნილია ქართული წიგნის კუთხე. სკოლა ქართული სათვისტომოს მხარდაჭერით ფუნქციონირებს. დიასპორული ორგანიზაციის - „მამული" /_ מאמולי(ხელმძღვანელი: ირაკლი კილაძე) და „ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრის"

(ხელმძღვანელი: მარინა გელაშვილი) ორგანიზებით, ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთაგან შემოსული თანხა სკოლის განვითარებას ხმარდება.
2019 სასწავლო წელს, სკოლას ისრაელის სხვადასხვა ქალაქებიდან კიდევ ათამდე ახალი მოსწავლე შეემატა. სწავლის დაწყება „მამულის" აღსაზრდელებს, სკოლის ადმინისტრაციასთან და

მხარდამჭერებთან ერთად, ისრაელში საქართველოს კონსულმა, დავით ჩაჩავამ და ქართული ხალხური სიმღერების ლეგენდარული ანსამბლის „რუსთავის" ხელმძღვანელმა, ანზორ ერქომაიშვილმა მიულოცა.

ქართული სათვისტომოს სტენდი ჰანოვერის Entdeckertag-ზე

9 სექტემბერს, ქ. ჰანოვერში ღონისძიება „**Entdeckertag**- აღმოჩენის დღე" გაიმართა. ღონისძიებაზე ჰანოვერის ქართული სათვისტომომ ინიციატივით მოეწყო ქართული სტენდი, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო და ღვინო. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ ანბანს და დაეწერათ თავიანთი სახელები ქართული ასოებით. თანამემამულეებმა ამ სიმბოლური აქციით კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხს.

საქართველოს ელჩის შეხვედრა ვილნიუსის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებთან

12 სექტემბერს, ვილნიუსის უნივერსიტეტში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან ღვაჩლიანმა და საელჩოს კონსულმა რატი მამფორიამ ქ. ვილნიუსის სხვადასხვა უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებთან ტრადიციული გაცნობითი შეხვედრა გამართეს.
შეხვედრაზე ელჩმა სტუდენტებს მიულოცა სასწავლო წლის დაწყება, ესაუბრა მათ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, ლიეტუვა-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესახებ.
საქართველოს ელჩმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია საელჩოში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის თაობაზე, ასევე კონსულმა სტუდენტებს გააცნო ინფორმაცია საკონსულო მომსახურებების შესახებ.
ელჩმა სტუდენტებს ასევე მოუწოდა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საელჩოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

ალიბეგლოს შოთა რუსთაველის სახელობის სრული საშუალო სკოლა ოფიციალურად გაიხსნა

13 სექტემბერს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში საზეიმოდ გაიხსნა ქართული საშუალო სკოლის ახლად აშენებული შენობა. 16 სექტემბრიდან, სოფელ ალიბეგლოს ქართული საშუალო სკოლის 160 მოსწავლე, ახალ სასწავლო წელს შეუდგება თანამედროვე სტანდარტების შენობაში, რაც ძალზედ მისასალმებელი ფაქტია.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის გადაწყვეტილებით, სკოლის ახალი შენობის ასაშენებლად, შესაბამისი თანხა გამოიყო სახელმწიფოს მეთაურის სარეზერვო ფონდიდან.

სკოლის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ: აზერბაიჯანის განათლების მინისტრის მოადგილე იდრის ისაევი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ზურაბ პატარაძე, საქართველოს გენერალური კონსული ქ. განჯაში ნიკოლოზ იაშვილი, კახის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მაცხოვრებლები.

საქართველოს ელჩმა ზურაბ პატარაძემ მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტსა და ქვეყნის განათლების სამინისტროს უმაღლესი სტანდარტების სკოლის ახალი შენობის უმოკლეს ვადებში ექსპლუატაციაში შესვლისთვის. სოფელ ალიბეგლოს ქართული საშუალო სკოლის პრობლემის მოგვარება შეიძლება შეფასდეს, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობების შემდგომი განვითარების საქმეში. საზეიმო ცერემონიის დასრულების შემდეგ, სტუმრებმა დაათვალიერეს სასწავლო კაბინეტები, გაესაუბრნენ მოსწავლეებს, მშობლებსა და პედაგოგებს.

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში წელს “თბილისობა“ პირველად გაიმართა

14 სექტემბერს, ქ. სტოკჰოლმში შვედეთში არსებული წმინდა გიორგის ქართული სამრევლოსა და ქართული დიასპორის ორგანიზებითა და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით პირველად ჩატარდა თბილისობის დღესასწაული. ღონისძიების მიზანი შვედეთში მცხოვრები ქართველების გაერთიანება და შვედეთში საქართველოს კულტურისა და კულინარიის პოპულარიზაცია იყო.

თბილისობის დღესასწაული მუსიკალურად გაფორმეს შვედეთში მცხოვრებმა ქართველმა მომღერლებმა. შესრულდა საქართველოს ჰიმნი.

ღონისძიებას 400-მდე მეტი სტუმარი დაესწრო.

ქართული ნაციონალური ცეკვები უკრაინის მე-5 საერთაშორისო ფესტივალზე ბარსელონაში

15 სექტემბერს, ესპანეთის სამეფოში, ქ. ბარსელონაში გაიმართა უკრაინის მე-5 საერთაშორისო ფესტივალი. საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ბარსელონაში მოქმედმა ქართული კულტურის ცენტრმა - „EuroGeorgia – Barcelona'' და მასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა - „საქართველო“

(ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი ნანა ფურცელაძე).
ანსამბლი „საქართველო“ მაყურებლის წინაშე ქართული ნაციონალური ცეკვებით წარსდგა.

ქართულ-ლაზური ზეიმი ქ. საფანჯაში

15 სექტემბერს, თურქეთის რესპუბლიკის ქ. საფანჯაში, „საქარიას ქართველთა კულტურის ასოციაციის“ ორგანიზებითა და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართულ-ლაზური ზეიმი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ქართულ-ლაზური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა საქარიადან, ინეგოლიდან და სტამბოლიდან. კონცერტი გაიმართა ღია ცის ქვეშ, რომელსაც დაახლოებით 3 ათასამდე ადამიანი დაესწრო. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ: საქართველოს საელჩოს დესპანი, გელა ჯაფარიძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენლები, ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წევრები. ამასთან, ღონისძიების ფარგლებში, საელჩოს დესპანმა, გელა ჯაფარიძემ „საქარიას ქართველთა კულტურის ასოციაციის“ სახელით, ჭიდაობაში 2019 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელს ბედირჰან თანს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ფესტივალი „აღმოაჩინე საქართველო“ კანადაში

15 სექტემბერს, კანადაში, ტორონტოს მელ ლასტმანის სახელობის სკვერში, ტორონტოს ქართველ ქალთა ორგანიზაციის - Georgian Women’s Action Group ინიციატივითა და კანადაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ფესტივალი „აღმოაჩინე საქართველო“ გაიმართა. ქართული სიმღერის, ცეკვისა და კულინარიის ფესტივალი, წელს მეორედ ჩატარდა და იგი ნატო-ს 70 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიების საპატიო სტუმარი იყო კანადის ნატო-ს ასოციაცია. ღია ცის ქვეშ გამართულ ფესტივალზე ტორონტოელებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ საქართველოს საელჩოს მიერ მომზადებული თემატური ფოტოგამოფენები: „საქართველოს გზა ნატო-ში წევრობისკენ“ და „50 ქალი საქართველოდან“.

ფესტივალის ფარგლებში, ტორონტოს ქართველ ქალთა ორგანიზაციამ გამართა საქველმოქმედო ბაზრობა, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეეძინათ ქართული ტრადიციული ხელნაკეთი ნივთები. ტორონტოში არსებული ქართული რესტორნები ,,სულიკო” და „მიმინო“ კი ფესტივალის სტუმრებს ნაციონალური კერძებით გაუმასპინძლდნენ.

ფესტივალის დასკვნით ნაწილში, გაიმართა ქართული სიმღერისა და ცეკვის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კანადაში მცხოვრებმა ქართველმა მუსიკოსებმა, მათ შორის, ქართულ-კანადურმა ანსამბლებმა „დარბაზი” და „ზარი“. კონცერტზე ქართული ხალხური ცეკვებით წარსდგა, აგრეთვე, ტორონტოში მოქმედი ანსამბლი „ქართული სული“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ნონა ბერიკაშვილი.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა კანადაში საქართველოს ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე, რომელმაც ისაუბრა საქართველოს უძველეს ისტორიაზე, უნიკალურ ქართულ კულტურასა და მეღვინეობის 8000-წლოვან ტრადიციაზე. ელჩმა ასევე ყურადღება გაამახვილა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, იმ ევროპულ ფასეულობებზე, რომელთა ერთგულიც საქართველო ყოველთვის იყო და ხაზგასმით აღნიშნა ნატო-საქართველოს ურთიერთობები და ის დიდი წვლილი, რაც საქართველოს შეაქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ასევე კანადის ნატო-ს ასოციაციის პრეზიდენტი რობერ ბეინსი და ვიცე-პრეზიდენტი კეთრინ ლენგლი ჰოუფი.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალმა „აღმოაჩინე საქართველო“ უკვე ტრადიციული სახე მიიღო და მისი მეშვეობით, სულ უფრო მეტი კანადელი ეცნობა ქართულ კულტურას და ინტერესდება საქართველოთი.

წლევანდელი ფესტივალის ორგანიზებას ფინანსური მხარდაჭერა გაუწია თანამემამულე ბიზნესმენმა ლევან ტოპრიკაშვილმა.

ქართული პოეზიის საღამო ქ. გრაცში

17 სექტემბერს, ქ. გრაცის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიმართა ქართველი ავტორის ნანა ქელეხიძის ლექსების კრებულის - „საშუაღამო” (“Mitternächtlich“) პრეზენტაცია. საღამოს მოდერირებას უწევდა ავსტრიელი მთარგმნელი იულია დენგი, რომელსაც გერმანულ ენაზე არაერთი ქართული ნაწარმოები აქვს ნათარგმნი, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები”.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გრაცის აკადემიური და კულტურული წრეების, აგრეთვე, ქართული დიასპორისა და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

საქართველოს ელჩი ლიეტუვაში ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსების ლიეტუველ სტუდენტებს შეხვდა

18 სექტემბერს, ქ. ვილნისუსში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან ღვაჩლიანმა გამართა შეხვედრა ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ, ინესა შეშკაუსკიენესთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდა დეკანის მოადგილე პროფესორი დიანა შილეიკაიტე-კაიშაური.

შეხვედრაზე მიღწეული იქნა შეთანხმება ვილნიუსის უნივერსიტეტში საქართველოს სახელობის აუდიტორიის გახსნის თაობაზე.

ასევე, უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში ელჩი ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსების ლიეტუველ სტუდენტებს შეხვდა და მათ ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. წელს კურსებზე დამატებით 25 ახალი სტუდენტი დარეგისტრირდა.

აღნიშნული კურსები ხორციელდება ვილნიუსის უნივერსიტეტის პროგრამის „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე" ფარგლებში და მასზე დასწრება შეუძლია ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ამასთან, ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ქართული ენა შეუძლიათ ისწავლონ, როგორც არჩევითი საგანი, ხოლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების სტუდენტებმა, როგორც თავისუფალი საგანი.

საქართველოს საელჩოს ძალისხმევით აღნიშნული კურსები ვილნიუსის უნივერსიტეტში მეექვსე წელია ფუნქციონირებს. გასული სასწავლო წლიდან კი ქართული ენა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო კურიკულუმში გაერთიანდა.

უკრაინაში მოღვაწე ქართველი პოეტის შემოქმედებითი საღამო თბილისში

19 სექტემბერს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში გაიმართა უკრაინაში მოღვაწე ქართველი პოეტის, მთარგმნელისა და მაღალი რანგის დიპლომატის რაულ ჩილაჩავას წიგნების წარდგენა.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ სამწერლო დამსახურებისათვის, რაულ ჩილაჩავას დავით გურამიშვილის სახელობის პრემია მიაკუთვნა. აღნიშნული ჯილდო ადრესატს პოეტმა დავით შემოქმედელმა გადასცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საზოგადო მოღვაწეები.

ქ. ინეგოლის მერისა და ქართული დიასპორული ორგანიზაციის ვიზიტი თბილისში

20 სექტემბერს, ინეგოლთან დაძმობილებულ ქალაქში, რუსთავში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ქ. ინეგოლის მერი ალფერ თაბანი, ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის თავმჯდომარესთან ომერ ფარუქ დემირთაშთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად თბილისს ეწვია. ინეგოლისა და რუსთავის დაძმობილების პროცესი 1992 წელს დაიწყო. ამ წლების განმავლობაში, ორივე მხარის მონდომებით, ღრმავდებოდა კულტურულ-სოციალური ურთიერთობები. რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა, გასულ წელს ინეგოლს ეწვია და „ჩვენებურების“ მე-19

საერთაშორისო ფესტივალს დაესწრო. მხარეებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ორ ქალაქს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზეც. ინეგოლსა და რუსთავს შორის მრავალმხრივი, საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო პროექტების შემუშავების პროცესში, ჩართულები არიან საქართველოში მოქმედი ქართულ-თურქული საწარმოს “Geolive”-ს დამფუძნებლები აჰმეთ ქაჰრამანი და მეჰმეთ ნური თაიარი (მამია დუმბაძე). ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები დაესწრნენ რუსთავში გამართულ ღონისძიებებს, შეხვედრა გამართეს საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ფატმა ჯერენ იაზგანთან, ასევე, დაათვალიერეს ტექნო ფესტივალი.

თეონა მოსიას ქართული ჯაზის საღამო ავსტრიაში



20 სექტემბერს, ქ. ვენაში, „Kunstraum der Ringstrassen Gallerien“-ში ავსტრიაში მოღვაწე, ქართველი ჯაზ-მომღერლის, თეონა მოსიას ქართული ჯაზის საღამო გაიმართა.

საღამოზე შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები ჯაზური არანჟირებით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ავსტრიის კულტურის სფეროს და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

„LA MERCE 2019“ დღესასწაული ბარსელონაში

21 სექტემბერს, ესპანეთის სამეფოს ქ. ბარსელონაში მოქმედმა წმიდა გიორგის სახელობის ქართულმა მართმადიდებლურმა ასოციაციამ და მასთან არსებულმა ცეკვისა და სამღერის შემოქმედებითმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ბარსელონის მთავარ დღესასწაულში - „LA MERCE 2019“-ში. ასოციაციამ წელს, უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაში, სადაც მაყურებლის წინაშე წარსდგა 4 გუნდითა და 2 სოლო შემსრულებლით.

კულტურული ტრადიციებისა და ეროვნული კერძების მე-17 საერთაშორისო ფესტივალი უზბეკეთში

21 სექტემბერს, ქ. ტაშკენტის ბოტანიკურ ბაღში, უზბეკეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური კორპუსის მომსახურეობის ბიუროს ინიციატივით და ორგანიზებით, გაიმართა უზბეკეთის რესპუბლიკაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს შორის კულტურული ტრადიციებისა და ეროვნული კერძების მე-17 საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 34-ზე მეტმა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ, მათ შორის საქართველოს საელჩომ უზბეკეთის რესპუბლიკაში.

ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს საელჩოს მიერ, ფესტივალზე ორგანიზებული იყო ქართული კუთხე, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მომზადებული და ქართული ტურიზმისადმი მიძღვნილი ბროშურები და ბუკლეტები, ქართული ეროვნული სუვენირები, ასევე, ქართული ღვინისა და მინერალური სასმელების პროდუქცია, ხოლო ტაშკენტში მცხოვრები ქართველი მზარეულმა მოამზადა ქართული კერძები. ღონისძიების დასასრულს, ფესტივალის ჟიურის მიერ გემოვნების, ეროვნული ტრადიციებისა და კერძების დიზაინის ხარისხის გათვალისწინებით, საქართველოს საელჩოს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი და საგანგებო პრიზი.

ქართული დიასპორის წარმომადგენლები იერუსალიმს ეწვივნენ

21 და 29 სექტემბერს, ისრაელში საქართველოს საელჩოს ინიციატივით და ორგანიზებით, ადგილობრივი ქართული დიასპორის წარმომადგენლები იერუსალიმში გაემგზავრნენ.

ისრაელში მცხოვრები თანამემამულეების ერთმანეთთან დაკავშირება-დაახლოების მიზნით, საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, ღვთისმშობლობისა და ჯვართამაღლების დღესასწაულებზე ქართული დიასპორის წარმომადგენლები იერუსალიმს ეწვივნენ.

ორივე შეკრებაში, ისრაელში საქართველოს საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, ქართული დიასპორის 120-ზე მეტმა წევრმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი მოინახულეს ისრაელში პირველი საკვირაო სკოლის „მამულის“ აღსაზრდელებმა.

კულტურის ფესტივალი ქ. სტამბოლში

21 სექტემბერს, ქ. სტამბოლში, „ბეიქოზის ქართული კულტურისა და შავიზღვისპირელების კულტურისა და ურთიერთდახმარების ასოციაციების" ორგანიზებითა და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, კულტურის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში გაიხსნა საქართველოს სტენდი, სადაც შესაძლებელი იყო ქართული კერძების დაგემოვნება. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართულ-თურქული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა. აღსანიშნავია, რომ ფესტივალი ჩატარდა ღია ცის ქვეშ, რომელსაც დაახლოებით 10 ათასამდე ადამიანი დაესწრო. ფესტივალი ასევე ფართოდ გააშუქეს თურქულმა მედია-საშუალებებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში გიორგი ჯანჯღავა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენლები, ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წევრები. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ბეიქოზის ქართული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელს ალი ქემალ ქილიჩს სამადლობელი სიგელი გადასცა.

ზურაბ პაპიაშვილის შეხვედრა ქართულ დიასპორასთან ათენში

22 სექტემბერს, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრში - „კავკასია" გაიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის, კახის რაიონში მოღვაწე მწერლის ზურაბ პაპიაშვილისა და მისი ვაჟის, დიპლომატიისა და ისტორიის მეცნიერებათა მაგისტრის, ანსამბლ „ჰერულას" დამაარსებლის ვასილ პაპიაშვილის შემოქმედებითი შეხვედრა ათენის ქართულ დიასპორასთან.
მწერალმა ზურაბ პაპიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას, საბერძნეთის ქართველ ემიგრანტთა თანადგომით გამოცემული წიგნი - „მო! ფერების საუფლოში" წარუდგინა, ხოლო მკვლევარმა და ხელოვანმა ვასილ პაპიაშვილმა მსმენელს გააცნო ჰერეთის ისტორია: წარსული და დღევანდელობა.
ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში იოსებ ნანობაშვილი და საელჩოს თანამშრომლები.

„ხელოვნების II საერთაშორისო ფესტივალი საზღვრებს გარეშე“ ათენში

22 სექტემბერს, ქ. ათენში, ილიონის მუნიციპალიტეტის დიდ სპორტულ კომპლექსში „ხელოვნების II საერთაშორისო ფესტივალი საზღვრებს გარეშე“ გაიმართა.
ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 9 სხვადასხვა ქვეყნის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა, რომელთა შორის იყო ათენის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი - „კავკასია“, რომლის ქორეოგრაფები არიან ეკა გიგოლაშვილი და შოთა ცქვიტიშვილი.
აღნიშნულ ფესტივალში, ქართული ანსამბლი, მაყურებლის წინაშე ქართული ცეკვებით, წელს უკვე მესამედ წარსდგა.

ახალი სასწავლო წელი ვენის ქართულ საკვირაო სკოლაში

22 სექტემბერს, ქ. ვენაში, ქართულ სათვისტომოსთან არსებულმა დავით აღმაშენებლის სახელობის საკვირაო სკოლამ სასწავლო პროცესი განაახლა.
სკოლის აღსაზრდელებს, ახალი სასწავლო წლის დაწყება საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა მიულოცეს და პირველ გაკვეთილს დაესწრნენ.
საელჩოს წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს საკვირაო სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც თავდაუზოგავად ემსახურებიან ქვეყნისთვის საკეთილდღეო საქმეს.

კვიპროსის რესპუბლიკაში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო

22 სექტემბერს, კვიპროსის რესპუბლიკაში, ქ. ნიქოზიასა და ქ. ლიმასოლში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო.
აღნიშნულთან დაკავშირებით, კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რევაზ ლომინაძე საკვირაო სკოლებს ეწვია და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. ელჩმა მადლობა გადაუხადა საკვირაო სკოლების მასწავლებელს ფასდაუდებელი შრომისთვის, ენთუზიაზმისთვის და მათ წარმატებული სასწავლო წელი უსურვა. სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ელჩმა ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია კვიპროსში რიგით მესამე ქართული საკვირაო სკოლის გახსნა ქ. პაფოსში.
საკვირაო სკოლების მოსწავლეებს გადაეცათ ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სხვა მასალები. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის სახელმძღვანელოები სპეციალურად საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლებისთვისაა განკუთვნილი და იგი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით.
2019-2020 სასწავლო წლიდან კვიპროსში მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლებში მოსწავლეები დამატებით ახალ საგანს - სამოქალაქო განათლებას შეისწავლიან.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

23 სექტემბერს, ქ. ლონდონში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოში გაიმართა პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამარ ჩუგოშვილისა და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თამარ ბერუჩაშვილის შეხვედრა დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი ღონისძიება საქართველოს საელჩოს ახალ, საკუთარ შენობაში და ამ ეტაპზე, ლონდონი მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია, სადაც საქართველოს საკუთრებაში აქვს საელჩოსა და ეკლესიის შენობები, რაც, თავის მხრივ, საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობებსა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე მეტყველებს.
საქართველოს ელჩმა, თამარ ბერუჩაშვილმა, სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. ელჩმა ხაზი გაუსვა საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში დიასპორის საკითხების პრიორიტეტულობას და ისაუბრა იმ ინიციატივებზე, რომლის მიზანია საზღვარგარეთ ქართული დიასპორის გაძლიერება და სამშობლოსთან მათი კავშირის განმტკიცება. შეხვედრაზე თამარ ბერუჩაშვილმა ასევე განსაკუთრებით აღნიშნა დიასპორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით და ამ კუთხით საელჩოსთან მჭიდრო თანამშრომლობა.
პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, თამარ ჩუგოშვილმა დიასპორის წარმომადგენლებს გააცნო საქართველოში მიმდინარე წარმატებული რეფორმები, მათ შორის ახალი პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას, ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს დიასპორასთან ურთიერთობის საკითხები და ის ახალი პროექტები და ინიციატივები, რომლებიც მთავრობას გააჩნია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ინტერესების დასაცავად და მათი საჭიროებების უზრუნველსაყოფად.
დიასპორის წარმომადგნელებმა თავის მხრივ ისაუბრეს დაგეგმილ ღონისძიებებზე, ასევე, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ქართველი ბავშვებისათვის საკვირაო სკოლების მნიშვნელობაზე.
დიასპორის წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საელჩოში შეხვედრები რეგულარულ ხასიათს ატარებს და მათ ეძლევათ შესაძლებლობა შეხვდნენ მათთვის საინტერესო ადამიანებს, ისაუბრონ თავიანთ მიღწევებსა და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

“La Mercé 19“ ფესტივალი ბარსელონაში

23 სექტემბერს, ქ. ბარსელონაში, ქართული კულტურის ცენტრთან - „EuroGeorgia-Barcelona’’ არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საქართველომ“ ნანა ღლონტის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო ფესტივალში - “La Mercé 19“. ღონისძიებაზე, რომელიც ბარსელონის მთავარ მოედანზე - კატალონია იმართება, სხვადასხვა ქვეყნის სათვისტომოებს შესაძლებლობა ეძლევათ სტუმრებს გააცნონ თავიანთი ქვეყნის კულტურა და ფოლკლორი. აღნიშნულ ფესტივალზე ანსამბლი „საქართველო“ მაყურებლის წინაშე ქართული ნაციონალური ცეკვებით წარსდგა.

ლექცია - " საქართველოს პირველი რესპუბლიკის ევროპული პოლიტიკა" დანიის სამეფოში

24 სექტემბერს, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩოში გაიმართა ქართველი ისტორიკოსის, ბექა კობახიძის ლექცია - " საქართველოს პირველი რესპუბლიკის ევროპული პოლიტიკა."

ღონისძიება გახსნა საქართველოს ელჩმა გიგი გიგიაძემ, რომელმაც დამსწრე, ქართული დიასპორის წარმომადგენლებს წარუდგინა ბექა კობახიძე და ხაზი გაუსვა საქართველოს ისტორიაში პირველი რესპუბლიკის მნიშვნელობას.

ბექა კობახიძემ ისაუბრა პირველი რესპუბლიკის შექმნის წინაპირობებზე, საგარეო პოლიტიკის ორიენტაციაზე, დიპლომატიური სამსახურის სპეციფიკაზე. ლექციის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ურთიერთობებზე სკანდინავიურ ქვეყნებთან.

ლექციის შემდეგ გაიმართა მცირე მიღება, რომლის დროსაც ქართული დიასპორის წარმომადგენლებსა და ბექა კობახიძეს შორის უშუალო გარემოში გაგრძელდა საუბარი საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკითხზე.

ქართველ ხელოვანთა ახალი ალბომის პრეზენტაცია

24 სექტემბერს, ქ. ვენაში, გაიმართა ავსტრიაში მოღვაწე, ცნობილი ქართველი პიანისტის ქეთევან სეფაშვილის და ფლეიტისტის თემურ ხარშილაძის ახალი ალბომის „UNDINE” პრეზენტაცია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ავსტრიის კულტურული წრეების, ქართული დიასპორისა და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

იურიდიული დახმარების სამსახურის ვიზიტი გერმანიაში

25 სექტემბერს, ქ. ბერლინში, საქართველოს საელჩომ გერმანიაში იურიდიული დახმარების სამსახურს უმასპინძლა. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, ასევე, გერმანიის სხვადასხვა ქალაქში არსებული ქართული დიასპორების და სხვა ემიგრაციული ორგანიზაციების წარმომადგენლები, გერმანიაში სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა ბერლინის შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია „იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების“ შესახებ. პრეზენტაცია მოიცავდა ვრცელ ინფორმაციას დისტანციური სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობებზე, რაც უფასო და საუკეთესო საშუალებაა უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის, რათა დაზოგონ დრო, ფინანსები სხვადასხვა სახის სამართლებრივი პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით.

ემიგრანტთა შეხვედრაზე პირველად განხორციელდა სადემონსტრაციო დისტანციური კონსულტაცია ბერლინიდან თბილისში, სადაც ნაჩვენები იქნა, თუ როგორ შეუძლია უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეს დაუკავშირდეს იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტ-კონულტანტს საქართველოში და მიიღოს მისგან უფასო სამართლებრივი დახმარება.

შეხვედრის მონაწილეებს დაურიგდათ საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი საინფორმაციო ბროშურები.

იურიდიული დახმარების სამსახური უფასო სამართლებრივი დახმარების გამწევი სახელმწიფო ორგანიზაციაა. ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს იურიდიული დახმარების სამსახურის 12 ბიურო და 10 საკონსულტაციო ცენტრი. სამსახური უფასო სამართლებრივ კონსულტაციას უწევს ნებისმიერ პირს ნებისმიერ საკითხზე, ხოლო იურიდიული დოკუმენტების შედგენა და საადვოკატო წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოებში უზრუნველყოფილია გადახდისუუნარო მოქალაქეებისთვის.

ევროპული ენების დღეები ლიუბლიანაში

26 სექტემბერს, ქ. ლიუბლიანაში, ევროპული ენების დღეების ფარგლებში სლოვენიაში პირველად ჩატარდა ქართული ენის კვირეული. ლიუბლიანის ევროპულ სახლში, ევროკომისიის წარმომადგენლობაში, გაიმართა ქართული დედაენის პირველი გაკვეთილი საბავშვო ბაღის მოსწავლეებთათვის.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ელჩმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სლოვენიელ მოსწავლეებს.

27 სექტემბერს, ლიუბლიანის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებულ ღონისძიებაზე გაიმართა ქართული ენისა და ანბანის პრეზენტაცია. ასეულობით დამსწრეთათვის ნაჩვენები იყო ვიდეო-ფილმი ქართული ანბანის შესახებ.

3 ოქტომბერს, ენების ევროპული დღეების ფარგლებში, საელჩოს ორგანიზებით, გაიმართება ქართულ ენასა და მართლწერაში მესამე და დამაგვირგვინებელი ღონისძიება ლიუბლიანის უდიდეს საშუალო სკოლაში, რომლის დროსაც სკოლის უფროსკლასელები ისწავლიან ქართულ კითხვასა და წერას. სემინარის ბოლოს საქართველოს ელჩმა მოსწავლეებსა და სკოლის დირექციას გადასცემს სამახსოვრო საჩუქრებს, ქართულ ანბანსა და სხვადასხვა თვალსაჩინოებს.

კიევის ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში „იბერიელი“ ენების ევროპული დღე აღინიშნა

26 სექტემბერს, კიევის ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში „იბერიელი“ ენების ევროპული დღე აღინიშნა.
ცენტრის აღსაზრდელებმა და მასწავლებლებმა ქართულ-უკრაინული ენების მასტერ-კლასი ჩაატარეს. მოსწავლეებმა ერთმანეთს ენების ისტორიის შესახებ ცოდნა გაუზიარეს.
ევროპის საბჭოს ინიციატივით, 2001 წლიდან ენების ევროპული დღე 26 სექტემბერს აღინიშნება ყოველწლიურად ევროკომისიასთან ერთად.

ქართველი ემიგრანტების შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთან თესალონიკში

27 სექტემბერს, ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალურ საკონსულოში, ქართული დიასპორის წარმომადგენლის ნათია მაისურაძის ინიციატივით, გაიმართა ქართველი ემიგრანტების შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორთან ნინო პოპიაშვილთან, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფილოლოგიის დოქტორთან ნათელა ჩიტაურთან და ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებთან შორენა შამანაძესთან.
შეხვედრაზე სტუმრები დამსწრე საზოგადოებას ესაუბრნენ იმ პროექტების შესახებ, რომლის ფარგლებშიც ისინი ახორციელებენ ემიგრაციაში შექმნილი კულტურის, ლიტერატურის და ხელოვნების შესწავლას. აღნიშნეს, რომ მათი კვლევის მიზანია საზღვარგარეთ კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე თანამემამულეთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა, თუ რამდენად ატარებს ემიგრაციაში შექმნილი ქართული კულტურა ეროვნულ იდენტობას, არის თუ არა ინტერ-კულტურული და რომელი ლიტერატურული პროცესის, მიმდინარეობის კუთვნილებაა.
შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია, სადაც ქართველმა ემიგრანტებმა არსებულ პრობლემებზე და მათ გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

ათენში ენების ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლი გაიმართა

28 სექტემბერს, ქ. ათენში, გაიმართა ენების ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლი. ღონისძიებაზე, სადაც ტრადიციულად წარმოდგენილნი არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოები და მსოფლიოში ცნობილი ევროპული ინსტიტუტები, საქართველოს საელჩომ უკვე მეოთხედ მიიღო მონაწილეობა. „ენების ევროპული დღე" არის ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტი. ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებთან ერთად, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კულტურის ცენტრებმა - British Council, Goethe institute Athens, French Institute, Servantes Centre და სხვა. ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს დაურიგდათ ბროშურები და აუდიო-ვიდეო მასალა ქართული ენის შესახებ. ნაჩვენები იყო ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ვიდეო-რგოლი ანბანით მოთხრობილი საქართველო.

ესტონეთში ქართულ საკვირაო სკოლაში "მზიური" განახლებული სასწავლო წელი დაიწყო

28 სექტემბერს, ესტონეთში ქართულ სათვისტომოსთან არსებულ ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელ საკვირაო სკოლაში - „მზიური" ახალი სასწავლო წელი დაიწყო.

საქართველოს საელჩოს მეორე მდივანმა ნათია ვაშალომიძემ სკოლის მოსწავლეებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საკვირაო სკოლებისთვის შემუშავებული სამ საფეხურიანი სახელმძღვანელოები გადასცა.

ქართულ დიასპორაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერა წარმოადგენს.

ახალი სასწავლო წელი ქ. მაინის ფრანკფურტში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში

29 სექტემბერს, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური კონსული ლევან დიასამიძე ქ. ერფურტში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლა „საუნჯეს“ ეწვია და სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საჩუქრად გადასცა ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოები საგანგებოდ საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლებისა და ქართული ენის შემსწავლელი კურსებისთვისაა განკუთვნილი, რომელიც იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

აღნიშნული სახელმძღვანელოები მნიშვნელოვნად დაეხმარება ერფურტში მოქმედი საკვირაო სკოლის პედაგოგებს სწავლების დონის ამაღლებაში, ხოლო მოსწავლეებს კი გაუმარტივებს ქართული ენის შესწავლას. ინტეგრირებული პროგრამა ქართული ენის კურსის ფარგლებში ასევე მოიცავს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხებს. სახელმძღვანელოები აგებულია თანამედროვე სწავლების პრინციპებზე და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისთვის სათანადო ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისებას და ეხმარება მათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

აღსანიშნავია, რომ „საუნჯე“ უკვე წლებია ფუნქციონირებს, როგორც დიასპორულ ორგანიზაციასთან - „ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება თიურინგიაში“ არსებული ქართული საკვირაო სკოლა. ორგანიზაცია 2006 წელს დაარსდა და დიანა ცერცვაძის ხელმძღვანელობით, იგი აქტიურად ეწევა გერმანიაში საქართველოს კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენა-პოპულარიზაციას, ასევე საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საქმიანობას.

საქართველოს გენერალურმა კონსულმა მადლობა გადაუხადა ერფურტის ქართულ სათვისტომოს და ქართულ საკვირაო სკოლას საერთო ქართულ საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

შეხვედრა ქ. გრაცის ქართულ საკვირაო სკოლაში

28 სექტემბერს, საქართველოს კონსული ავსტრიაში შორენა წიკლაური ქართულ სათვისტომოსთან ერთად გრაცის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საკვირაო სკოლა „იმედს” ესტუმრა.

შორენა წიკლაურმა სკოლას სასწავლო პროცესისთვის საჭირო ნივთები გადასცა.

კონსულმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში - “Begegnung am Mariahilferplatz- Bunte Vielfalt Graz”, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ეროვნული სამოსი.

კულტურის ცენტრ „კავკასიის“ აღსაზრდელთა შეხვედრა არგირუპოლის კერძო მოხუცთა თავშესაფარში

29 სექტემბერს, ქ. ათენში, არგირუპოლის კერძო მოხუცთა თავშესაფარში, გაიმართა ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიის“ აღსაზრდელთა და მათი მშობლების შეხვედრა ადგილობრივ ბენეფიციარებთან და მოწვეულ სტუმრებთან. მსგავსი საზეიმო საღამოები ცენტრის მიერ ყოველი თვის ბოლო კვირას იმართება, სადაც „კავკასიის“ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც ახალ კულტურულ პროგრამას წარადგენენ, წელიწადში სულ მცირე 2-ჯერ ეპატიჟებიან.

საღამოს მასპინძელი იყო საქართველოს ეკლესიის ბერძენი მოძღვარი, პარაკლიტონის მონასტრის წინამძღოლი, მამა ტიმოთეოსი (საკას). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ცენტრის დამფუძნებელი ავთანდილ მიქაბერიძე, მუსიკალური სტუდიის ქართულ-ბერძნული გუნდი, სოლისტი ელისო დიაჩენკო, ცეკვის სტუდიის პედაგოგი, შოთა ცქვიტიშვილი და სოლისტები მარი შურღაია და ლუკა კიკნაძე, ასევე, მშობლები და პედაგოგები იოანის თეოდოროპულოს და ანა იმედაძე.

შეხვედრა ვენაში არსებულ, ქართულ საკვირაო სკოლაში

29 სექტემბერს, ავსტრიაში საქართველოს საელჩოს კონსული შორენა წიკლაური და მეორე მდივანი მარიამ შუბეუსი, ქართულ სათვისტომოსთან არსებულ დავით აღმაშენებლის სახელობის საკვირაო სკოლას ესტუმრნენ.

საელჩოს წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეებს ქართული წიგნები და საჩუქრები გადასცეს და მოსწავლეებთან ერთად შემეცნებით-გასართობ ღონისძიებას დაესწრნენ.

შეხვედრაზე საქართველოს საელჩომ მადლობა გადაუხადა ავსტრიაში ქართულ სათვისტომოს და ვენის ქართულ საკვირაო სკოლას საერთო ქართულ საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

დანიაში საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით ვიდეორგოლი მომზადდა

„Spend Your Summer in GEORGIA“-ს ფარგლებში, დანიის სამეფოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ, საქართველოს და მისი ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, ვიდეორგოლი მომზადდა.

ვიდეორგოლში მონაწილეობას იღებენ დანიის სამეფოში მცხოვრები უცხოელები, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ. ისინი საუბრობენ საქართველოს ბუნებაზე, მის მდიდარ ისტორიასა და კულტურაზე და სხვა ტურისტებს საქართველოში მოგზაურობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ. ტურისტები არც ქართულ სამზარეულოს ივიწყებენ, ხაზგასმით აღნიშნავენ ქართველების სტუმართმოყვარეობას და მოგზაურობის მოყვარულებს საქართველოს აღმოჩენისკენ მოუწოდებენ.

სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დიასპორასთან ურთიერთობის

დეპარტამენტი

შ. ჩიტაძის ქ.4

თბილისი, 0118

ტელ:

(+995 32) 2945000

ფაქსი:

(+995 32) 2945001

ელ. ფოსტა

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia/

/MFA Geo

www.mfa.gov.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო